

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2014-2015 წლების პრიორიტეტული მიმართულებები

პრიორიტეტი 1. მომავლის საჯარო მომსახურება

საჯარო მომსახურების გამჭვირვალობა და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების შემუშავება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ერთ-ერთი გამოწვევაა. საჯარო მომსახურების დახვეწა და შემდგომი განვითარება პრიორიტეტად რჩება საქართველოსთვისაც. შესაბამისად, მიზანშეწონილია, შენარჩუნდეს ეს პრიორიტეტული მიმართულება განახლებულ სამოქმედო გეგმაში.

პრიორიტეტი 2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ მიზანია საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულება, სახელმწიფოს საქმიანობისა და საჯარო პოლიტიკის ღიაობა, ამ მიზნების მისაღწევად ინფორმაციის თავისუფლების მაღალი სტანდარტების დანერგვა მნიშვნელოვანია. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფლების განმტკიცება და ამ მიზნით არსებული საკანონმდებლო ბაზისა და ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული პრაქტიკის დახვეწა.

პრიორიტეტი 3. გამჭვირვალე საჯარო სამსახური

საჯარო სამსახურის რეფორმის კომპონენტი „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრ სახელმწიფოთა სამოქმედო გეგმების მნიშვნელოვანი მიმართულებაა. საჯარო სამსახურის რეფორმა ხელს უწყობს პოლიტიკური ზეგავლენისაგან დამოუკიდებელი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, სახელმწიფო უწყებათა ეფექტიანობისა და საჯარო მოხელეთა პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას.

2013 წლის 24 ივლისის საქართველოს მთავრობის №815 განკარგულებით შეიქმნა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის შემუშავებელი საკოორდინაციო საბჭო. საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციით განისაზღვრება საჯარო სამსახურის რეფორმის პრიორიტეტები და გამოიკვეთება რეფორმის ძირითადი მიმართულებები. შესაბამისად, მიზანშეწონილია საბჭოს მიერ განსაზღვრული და შეთანხმებული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში აღებული ვალდებულებების უკეთ იმპლემენტაციას, ასევე, აისახოს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ განახლებულ სამოქმედო გეგმაში.

პრიორიტეტი 4. სახელმწიფო ფინანსების გამჭვირვალობა

საჯარო ფინანსების სისტემის გამჭვირვალობა, რესურსების მართვისა და მათი ხარჯვის ეფექტიანობის გაუმჯობესება ანტიკორუფციული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში, აღნიშნული მიმართულების გათვალისწინება მიზნად ისახავს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და ხარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, აგრეთვე, მოქალაქეთა ინფორმირებულობას სახელმწიფო პროგრამების/პროექტების, გრანტების და ფინანსური დახმარებების შესახებ, საინვესტიციო პროექტების შესახებ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და სხვა.

პრიორიტეტი 5. ჯანდაცვის სფეროში მომსახურების გაუმჯობესება

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიმართულებაა ჯანდაცვის სფეროში მომსახურების გაუმჯობესება. საქართველოს მთავრობის მიზანია, ქვეყანაში შექმნას ეფექტიანი ჯანდაცვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, მომსახურების მაღალ ხარისხს, პაციენტთა უფლებების დაცვასა და არსებული სამედიცინო მომსახურების, დაწესებულებებისა და პროგრამების შესახებ მათ სათანადო ინფორმირებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, შენარჩუნდეს ეს მიმართულება განახლებულ გეგმაში.

პრიორიტეტი 6. უსაფრთხო გარემოს შექმნა

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ ერთ-ერთი გამოწვევაა მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მუდმივი ზრუნვა. ამ მიმართულებით 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს გარკვეულ აქტივობებს, როგორცაა: სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, ელექტრონული პლატფორმა „უსაფრთხო უბანი“, დანაშაულის ელექტრონული რუკა. მიზანშეწონილია, 2014-2015 წლების გეგმის ფარგლებშიც განისაზღვროს აქტივობები ამ მიმართულებით.

პრიორიტეტი 7. მოქალაქეთა მონაწილეობა ხელისუფლების საქმიანობაში

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში აღებული ვალდებულებების იმპლემენტაციის მიზნით, ხელისუფლების საქმიანობაში **საზოგადოების რეალური ჩართულობის უზრუნველყოფა** და ამ მიზნით მექანიზმების შექმნა მნიშვნელოვანია. მიზანშეწონილია, არასამთავრობო სექტორთან კოორდინაციითა და კონსულტაციებით შემუშავდეს საზოგადოების ეფექტიანი ჩართულობის კონკრეტული მექანიზმები როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე.

პრიორიტეტი 8. მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების კამპანია და ინფორმირება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ შესახებ

სასურველია, შეიქმნას „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ოფიციალური ვებგვერდი, რომელზეც რეგულარულად გამოქვეყნდება ინფორმაცია საქართველოს სამოქმედო გეგმის

განხორციელების შესახებ. ამ გზით მოხდება საზოგადოების ინფორმირება გეგმის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებისა და წინადადებული ნაბიჯების შესახებ. მიზანშეწონილია, აქვე არსებობდეს მოქალაქეთა მხრიდან შეფასებებისა და რეკომენდაციების მიღების ტექნიკური მექანიზმი, მაგალითად, ფორუმი, სადაც დარეგისტრირებულ მომხმარებელს შეეძლება, ჩაერთოს დისკუსიაში მთავრობის მიერ სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

სასურველია „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში აღებული ვალდებულებებისა და განხორციელებული ნაბიჯების შესახებ საჯარო კონსულტაციებისა და პერიოდული შეხვედრების ორგანიზება, სარეკლამო რგოლების, სატელევიზიო და რადიოგადაცემების მომზადება, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება საზოგადოების აქტიურობის მნიშვნელობაზე. აქვე სასურველია, გამოქვეყნდეს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში, რომელიც გაეგზავნება სხვადასხვა დაინტერესებულ სამიზნე ჯგუფს და მოხდება ანგარიშის საჯარო განხილვები არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დიპლომატიურ კორპუსთან, აკადემიურ წრებთან, სტუდენტებსა და ფართო საზოგადოებასთან.

პრიორიტეტი 9. არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი

მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის მუშაობა და პერიოდული შეხვედრები, არა მარტო გეგმის შემუშავების, არამედ მისი შესრულების მონიტორინგის მიზნით. შეხვედრებზე განიხილება და ფასდება სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობა, გამოითქმება მოსაზრებები და რეკომენდაციები. მიზანშეწონილია, გაფართოვდეს არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის შემადგენლობა და შეხვედრები განხორციელდეს შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების აქტიური მონაწილეობით.